განკარგულება:**g-63. 63261663**
თარიღი:**15/06/2026**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები''-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, განიხილა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა
		სულ	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნი	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	

			ლი თანხა)				
	1	2		3	4	5	6
1	სოფელ პირველ ნიგორზღვაში საჯარო სკოლიდან ოფეთის ცენტრალურ გზამდე ც/ბ-ის საფარის მოწყობის სამუშაოები	873620	829939	43681	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	
2	სოფელ კეთილაურში არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	1227900	1166505	61395	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	
3	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ნიგორზღვაში მე-9 ქუჩის და (11-ე ქუჩის ნაწილის) სარეაბილიტაციო სამუშოები	368220	349809	18411	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	
4	სოფ. გომში N10 ქუჩაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	51120	48564	2556	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი